

შპს „ავტო ინვესტი“

ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	6
4. ძირითადი საშუალებები	7
5. მარაგები	8
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
7. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	9
8. საწარმოს კაპიტალი.....	9
9. გაცემული ავანსები.....	9
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	9
11. შემოსავლები	10
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	10
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10

შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	34,760	50,845
სულ გრძელვადიანი აქტივები	34,760	50,845
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	166,375	107,477
დებიტორული მოთხოვნები პროდუქციის მიწოდებიდან	121,301	163,783
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	9,031	6,877
გადახდილი ავანსები	58,461	19,324
სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,299,783	1,078,790
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,654,951	1,376,251
სულ აქტივები	1,689,711	1,427,096
საწარმოს კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	20,000	20,000
მოგება-ზარალი	667,307	377,144
სულ საწარმოს კაპიტალი	687,307	397,144
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
ვალდებულებები სარეალიზაციო პროდუქციის შესყიდვიდან	923,858	966,286
ვალდებულებები მომსახურების შესყიდვიდან	48,329	30,424
მიღებული ავანსები	298	280
გადასახდელი ხელფასები	3,259	3,083
საგადასახადო ვალდებულებები	26,660	29,878
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,002,404	1,029,952
სულ ვალდებულებები	1,002,404	1,029,952

დირექტორი

გია გორგოშაძე



შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
საოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი საქონლის, მომსახურების მიწოდებიდან	2,654,942	1,944,073
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	-195,237	-137,665
საერთო მოგება	702,571	567,414
საოპერაციო ხარჯები		
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	284,672	296,220
საიჯარო ხარჯი	50,032	56,301
კომუნალური ხარჯები	15,031	10,101
საბანკო მომსახურების ხარჯი	9,193	5,745
ტრანსპორტირების და საწვავის ხარჯი	6,344	10,580
სამეურნეო ხარჯი	3,830	23,996
კომუნიკაციის ხარჯები	4,661	3,763
დაზღვევა	1,106	565
სხვა საერთო ხარჯი	10,485	7,636
ცვეთა და ამორტიზაცია	20,653	19,024
სულ საოპერაციო ხარჯები	-406,008	-433,931
საოპერაციო მოგება	299,383	137,176
არასაოპერაციო შემოსავლები		
გადაფასებიდან და საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსავლები	3,081	1,557
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	6,868	26,519
ძ.ს.-ის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები		16,466
არასაოპერაციო ხარჯები		
გადაფასებიდან და საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	-421	-1,748
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-15,927	-37,709
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-6,400	5,085
საწარმოს მოგება	290,163	138,568

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	20,000	238,575	258,575
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		138,569	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	20,000	377,144	397,144
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		290,163	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	20,000	667,307	687,307

დირექტორი

გია გორგოშაძე



მპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	107,477	75,624
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი - საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტისგან გადახდის შემოსავალი	3,140,399	2,300,534
ფულადი სახსრების სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	1806
სულ შემოსავალი - საოპერაციო საქმიანობიდან	3,140,399	2,302,340
გასავალი - საოპერაციო საქმიანობიდან		
შრომის ანაზღაურება გაცემული ფულადი სახსრები	218,647	226,840
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	2,732,355	1,898,752
გასავლები საბანკო მომსახურებების	9,193	5,745
საგადასახადო ვალდებულება დაფარვა	129,419	138,900
სხვა საოპერაციო გასავალი	0	251
სულ გასავალი - საოპერაციო საქმიანობიდან	3,089,614	2,270,488
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი - საფინანსო საქმიანობიდან		
მ. ა. დარიცხული პროცენტი	5,518	0
საკუროს მოგება/ზარალი	2,595	0
სულ შემოსავალი - საფინანსო საქმიანობიდან	8,113	0
გასავალი - საფინანსო საქმიანობიდან	0	0
სულ ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	8,113	0
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	166,375	107,477

დირექტორი

გია გორგოშაძე



შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია „ავტო ინვესტი“ (ს/კ 401957673) დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2011 წლის 11 აპრილს „ავიკა ინვესტი“-ს სახელწოდებით, სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ., № 140. დაფუძნებიდან 2019 წლამდე კომპანია ფაქტობრივად საქმიანობას არ აწარმოებდა. 2019 წლის 30 მაისს მას შეეცვალა დასახელება და დაერქვა „ავტო ინვესტი“. ამ პერიოდში მოყოლებული კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ავტოსაღებავებით, ავტომობილის შესაკეთებელი ინსტრუმენტებით და ავტონაწილებით ვაჭრობა. ამ მიზნით მას 2023 წლის პერიოდში ჰქონდა სავაჭრო ობიექტები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში. დაფუძნებიდან, 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორია ბატონი გია გორგოშაძე.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი). რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის

მპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დამჯებებისგან.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დამჯებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახდილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოცემულია არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დამჯებებს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის ღარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები - ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგები პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა გარემოებამ გავლენა მოახდინა სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	შენობების რემონტი და კეთილმოწყობა
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	43,558	14,240	19,569		13,328
შემოსვლა	4,179	4,327	2,308	14,631	
გასვლა		1,845	1,049	14,631	
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	47,737	16,722	20,828	0	13,328
შემოსვლა		2,840	333		1,395
გასვლა					
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	47,737	19,561	21,161	0	14,723
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	14,339	2,707	6,171		5,529

შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ცვეთა	9,488	2,888	3,860	16	2,830
გასული ძ. ს. ცვეთა		-25	-18	-16	
	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	შენობების რემონტი და კეთილმოწყობა
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	23,827	5,570	10,013		8,359
ცვეთა	10,184	3,065	4,292		3,112
გასული ძ. ს. ცვეთა					
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	34,011	8,635	14,305		11,471
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	23,910	11,151	10,815	0	4,969
2023 წლის 31 დეკემბერი	13,726	10,926	6,857	0	3,252

კომპანიას არ გააჩნია უძრავი ქონება, იგი ფუნქციონირებს იჯარით აღებულ ფართებში. მისი ძირითადი საშუალებები ძირითადად შეადგება სწრაფად ცვეთადი ელექტრონული მოწყობილობებისა და საოფისე ინვენტარისგან.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები კომპანიის ყველაზე დიდი ღირებულების აქტივია. მის უდიდეს ნაწილს შეადგენს სარეალიზაციო საქონელი. კერძოდ:

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
სარეალიზაციო საქონელი	1,028,852	1,236,539
ნედლეული და მასალები	49,290	60,456
დამზადებული მასალები	648	294
სახარჯი მასალები		2,495
სულ	1,078,790	1,299,783

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ფასს. სარეალიზაციო საქონელი ნაშთი შედგება 2000-ზე მეტი დასახელების პროდუქტისგან. წარსული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მარაგების გაუფასურების რეზერვი კომპანიას არ შეუქმნია.

შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამოდინარე მოთხოვნებს არეზერვებს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე 2023 წლის საანგარიშო პერიოდში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი არ შეუქმნია. წინა პერიოდებში, კერძოდ 2022 წელს კომპანიას დარეზერვებული აქვს 9741 ლარის მოთხოვნები.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან. საანგარიშო პერიოდში, არსებული ნაშთების ზარალის რეზერვი არ აღიარებულა.

8. საწარმოს კაპიტალი

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის ბატონი გია გორგოშაძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 667307 ლარი. 2022-2023 წლებში დივიდენდი არ განაწილებულა.

9. გაცემული ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მომწოდებლებზე გაცემული აქვს ავანსები 58461 ლარის მდგომარეობით. აღნიშნული თანხები თავისი შინაარსით არის მოკლევადიანი, გაცემულია პირებზე, რომლებიც სისტემატიურ რეჟიმში კომპანიას აწვდიან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, შესაბამისად აღნიშნული თანხების რისკიანობა ძალიან დაბალია.

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
შიდა მოხმარების საქონლისა და მომსახურების მომწოდებლები	29,305	47,117
ფიზიკური პირებისაგან მომსახურების შესყიდვები	1,119	1,212
სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლები	966,286	923,858

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 90% მოდის ერთ კომპანიაზე, რომელიც ამავდროულად არის დაკავშირებული მხარე (იხ თავი 12). სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, კომპანია აღნიშნულ ძირითად მომწოდებელთან ანგარიშსორებას ახდენს მოწოდებული პროდუქციიდან გაყიდული პროდუქციის წილის პროპორციულად. შესაბამისად კომპანიას გადახდილს ვალდებულება უდგება მაშინ, როდესაც

შპს „ავტო ინვესტი“ - ს/კ 401957673

ფინანსური ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

პროდუქცია გაიყიდება და კომპანია ანაზღაურებას მიიღებს. ამრიგად ფულადი სახსრების დეფიციტის რისკი კომპანიის ამ ვალდებულების გამო პრაქტიკულად არ გააჩნია.

11. შემოსავლები

კომპანიას 2023 წლის საანგარიშო პერიოდში ჰქონდა საკუთარი მაღაზიები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და რუსთავში საიდანაც ახდენდა პროდუქციის რეალიზაციას. ასევე, საანგარიშო პერიოდში კომპანიამ კლიენტებს შეთავაზა დისტრიბუციით (ადგილზე მიწოდებით) მომსახურება. ასევე, საანგარიშო პერიოდში კომპანიამ დაიწყო ექსპორტზე პროდუქციის გატანა. ექსპორტის მოცულობამ 2023 წელს შეადგინა 119189 ლარი. აღნიშნული აჩვენებს, რომ კომპანიის შემოსავლები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და პერსპექტივაში სტაბილური. ამასთან არსებობს გარკვეული რისკებიც, კერძოდ, ერთერთი მნიშვნელოვანი პროდუქტის, კერძოდ ავტოსაღებავების გაყიდვები დამოკიდებულია კომპანიაში მაღაკლვადი ფიციური და გამოცდილი კადრების არსებობაზე, რაც საქართველოს ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის დეფიციტის პირობებში გარკვეულ რისკებს ქმნის, თუმცა არა კრიტიკულს.

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2022 წელი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31 დეკემბერი 2023 წელი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე		
შიდა მოხმარების საქონლისა და მომსახურების მომწოდებელი	მეკავშირე საწარმო	24,472	33,148
სარეალიზაციო საქონლის მომწოდებელი	მეკავშირე საწარმო	907,515	859,053

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში კომპანიამ მკვეთარად შეამცირა ოპერაციები დაკავშირებულ საწარმოსთან და დამოუკიდებლად დაიწყო საზღვარგარეთიდან სარეალიზაციო პროდუქციის იმპორტი.

დირექტორი

გია გორგოშაძე

